შპს „სგ ოილ“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია----------1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----------2

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება----------3

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება----------4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები----------5

ზოგადი ინფორმაცია----------6

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები----------7

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა----------8

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები----------9

შპს „ სგ ოილ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შესადარისი 2019 წელი)

აქტივები	შენიშვნა	2019 წელი	2020 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		0	1746
არამატერიალური აქტივები		0	0
საინვესტიციო ქონება		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		0	1746
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრ.		538527	390295
სავაჭრო და სხვა მოკლევ. მოთ		297158	585339
მარაგები		325123	1591997
წინასაწარ გადახდილი გადასა.		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	200270
სულ მოკლევადიანი აქტივები		1160808	2767901
სულ აქტივები		1160808	2769647
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება		210181	2185496
გადაფასების რეზერვი			0
სულ კაპიტალი		210181	2185496
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		0	493661
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		950627	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	90490
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		950627	584151
სულ ვალდებულებები		0	584151
სულ კაპიტალი დავალდებულებები		1160808	2769647

შპს ,, სგ ოილ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შესადარისი 2019 წელი)

აქტივები	შენიშვნა	2019 წელი	2020 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		0	1746
არამატერიალური აქტივები		0	0
საინვესტიციო ქონება		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		0	1746
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრ.		538527	390295
სავაჭრო და სხვა მოკლევ. მოთ		297158	585339
მარაგები		325123	1591997
წინასაწარ გადახდილი გადასა.		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		0	200270
სულ მოკლევადიანი აქტივები		1160808	2767901
სულ აქტივები		1160808	2769647
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება		210181	2185496
გადაფასების რეზერვი			0
სულ კაპიტალი		210181	2185496
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		0	493661
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		950627	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	90490
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		950627	584151
სულ ვალდებულებები		0	584151
სულ კაპიტალი დავალდებულებები		1160808	2769647

დირექტორი გ.აფაქიძე

ბუღალტერი ნ.ფულარია

დირექტორი	გ.აფაქიძე
ბუღალტერი	ნ.ფულარია

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (შესადარისი 2019 წელი)

(ლარში)

	შენიშვნა	2019 წელი	2020 წელი
ამონაგები		8297279	43013265
თვითღირებულება		(8040268)	(40757005)
საერთო მოგება			
სხვა შემოსავლები		0	12816
საპროცენტო ხარჯი		0	(45481)
მიწოდების და მარკ. დანახარჯი		0	()
სხვა ხარჯი		(46873)	(318016)
საოპერაციო მოგება		210138	1905579
ფინანსური შემოსავალი			69736
ფინანსური ხარჯი		43	0
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება			0
მოგება დაბეგვრამდე		210181	1975315
მოგების გადასახადი		0	0
წმინდა მოგება		210181	1975315
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი		210181	1975315

დირექტორი	გ.აფაქიძე
ბუღალტერი	ნ.ფულარია

მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (შესადარისი 2019 წელი)

(ლარში)

	შენიშვნა	2019 წელი	2020 წელი
ამონაგები		8297279	43013265
თვითღირებულება		(8040268)	(40757005)
საერთო მოგება			
სხვა შემოსავლები		0	12816
საპროცენტო ხარჯი		0	(45481)
მიწოდების და მარკ. დანახარჯი		0	()
სხვა ხარჯი		(46873)	(318016)
საოპერაციო მოგება		210138	1905579
ფინანსური შემოსავალი			69736
ფინანსური ხარჯი		43	0
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება			0
მოგება დაბეგვრამდე		210181	1975315
მოგების გადასახადი		0	0
წმინდა მოგება		210181	1975315
სხვა სრული შემოსავალი			
გადაფასების რეზერვი		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი		210181	1975315

დირექტორი გ.აფაქიძე

ბუღალტერი ნ.ფულარია

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	0	0	0	0
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	0	0	0	0
წმინდა მოგება	0	0	210181	210181
პერიოდის სრული შემოსავალი			**210181**	**210181**
2020 წლის 31 დეკემბერი				
წმინდა მოგება	0	0	1975315	2185496
პერიოდის სრული შემოსავალი	**0**	**0**	**1975315**	**2185496**

დირექტორი: გ.აფაქიძე

ბუღალტერი ნ.ფულარია

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	0	0	0	0
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	0	0	0	0
წმინდა მოგება	0	0	210181	210181
პერიოდის სრული შემოსავალი			**210181**	**210181**
2020 წლის 31 დეკემბერი				
წმინდა მოგება	0	0	1975315	2185496
პერიოდის სრული შემოსავალი	**0**	**0**	**1975315**	**2185496**

დირექტორი: გ.აფაქიძე

ბუღალტერი ნ.ფულარია

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს ,, სგ ოილ“ (შემდეგ კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 7 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მონიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 445562310. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საწვავის იმპორტი და რეალიზაცია. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელია გიორგი აფაქიძე, რომელიც არის კომპანიის დირექტორი. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია. კომპანიის მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს, ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: პერიოდის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში:საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის,პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2020 წლის თებერვლიდან ქვეყანაში დაფიქსირდა კორონავირუსის შემთხვევები. ვირუსმა და აგრეთვე მისი გავრცელების აღკვეთის მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად დააზიანა ქვეყნის ეკონომიკური გარემო. 2020 წლის 21 მარტიდან 22 მაისის ჩათვლით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებდა საგანგებო მდგომარეობა და შეზღუდული იყო გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის წარმოება, თუმცა კომპანიამ შეძლო საერთო მოგების მარჟის შენარჩუნება. კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, რომელიც ნაწილობრივ დაფინანსდა სესხების ზრდით, მიუხედავად ამისა კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2021 წლის 25 აგვისტოს.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში სამუშაო და

წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში. საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით მოხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები- ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები-კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს.

1. **ფული და ფულის ექვივალენტები**

   ფული და ფულის ექვივალენტები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2020 წელი	31/12/2019 წელი
ფული სალაროში	28341	201087
ფული საბანკო ანგარიშზე	361954	337440
	390295	538527

2. **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:**

ლარში	31/12/2020 წელი	31/12/2019 წელი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	585339	297158
	585339	297158

3.მარაგები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2020 წელი	31/12/2019წელი
საქონელი	1591997	325123

	1591997	325123

4. **სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები**

ლარში	31/12/2020 წელი	31/12/2019წელი
სავაჭრო ვალდებულებები	(200270)	297158
საგადასახადო ვალდებულებები	90490	(16432)
მოკლევადიანი სესხები	493661	0
	383881	280726

5. **ამონაგები**

ამონაგები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2020 წელი	31/12/2019 წელი
საქონლის რეალიზაცია	43013265	8297279
სხვა შემოსავალი	12816	0
სულ-	43026081	8297279

6.ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31/12/2020 წელი	31/12/2019წელი
შრომის ანაზღაურება	71655	22970
რემონტის ხარჯი	21376	2388
ბანკის მომსახურება	19575	840
იჯარის ხარჯი	121783	23553
სხვაადმინისტრაციულიხარჯი	128564	3722
კომუნიკაციისხარჯები	544	108
	სულ-363497	53581

7.ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფინანსური ვალდებულებები გააჩნია.

	31/12/2020 წელი	31/12/2019წელი
მოკლევადიანი სესხები	493661	0

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისათვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

8. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს

9.საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა -განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს ,, სგ ოილ“

ბრძანება N0001-02 2 იანვარი 2020 წელი

შპს ,, სგ ოილ“ რეგისტრირებულია ,, მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მისამართი: ქ.თბილისი, შ. ნუცუბიძეს ქ.221, კორპ 5, ბინა 40.

საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი -445562310

შპს -ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საწვავის იმპორტი და საბითუმო ვაჭრობა.

შპს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას გამოყენებულია:

- საქართველოს კანონი ,, მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი ,, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მმს ფასს) 2015 წლის რედაქცია.

მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებაში შედის 2020 წლის 2 იანვრიდან. სააღრიცხვო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს ფასს-ის , ბასს-ის ან ინტერპრეტაციების მოთხოვნების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შესაბამისად საწარმოს თავისებურებებიდან გამომდინარე შემუშავებული სამუშაო ანგარიშთა გეგმით.

ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული პროგრამა ,, ორისის“ გამოყენებით.

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელი.

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

- **ძირითადი საშუალებების აღრიცხვა**

შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით ანუ პირვანდელი ღირებულებით;

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება პირვანდელი ღირებულებიდან ცვეთის თანხის გამოკლებით;

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა გაიანგარიშება წრფივი მეთოდით, თითოეული დასახელების მიხედვით;

ძირითადი სშუალებების ცვეთადი თანხა განისაზღვრება ნარჩენი ღირებულების გარეშე;

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება: შენობების -25 წლით, ავტომანაქნების -8-10 წლით, ხოლო საოფისე აღჭურვილობის და კომპიუტერული ტექნიკის -5-8 წლით; ასევე შესაძლებელია სასარგებლო ვადა განისაზღვროს ყოველწლიურად ძირითადი საშუალებების მდგომარეობის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ჩატარდება წელიწადში ერთხელ ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

- **სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა**

შეძენილი საქონელი შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით;

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება მუდმივი აღრიცხვის მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება ,, ფიფო,, მეთოდით , რომლის მიხედვითაც საანგარიშო პერიოდში პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის მიეკუთვნება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას, ხოლო შემდეგ რეალიზებულად ის საქონელი, რომელიც შეძენილია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მისი შეძენის დროის მიხედვით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ჩატარდება პერიოდულად და ინვენტარიზაციის შედეგი აისახება ბუღალტრულად.

სასაწყობო აღრიცხვა ხორციელდება კომპიუტერული პროგრამა ,,ორისით,,

საქონლის სასაწყობო აღრიცხვა წარმოებს სასაქონლო ნომენკლატურის (კოდების) მიხედვით.

- **მოთხოვნების აღრიცხვა**

მოთხოვნები მიწოდებიდან ბალანსში აისახება ნეტო თანხით ანუ საეჭვო მოთხოვნების თანხის გამოკლებით.

ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან წარმოებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.

- **საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა**

საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან.

წმინდა მოგების განაწილება ხდება ფინანსური ანგარიშგების შპს -ს პარტნიორების საერთო კრებაზე განხილვის დროს.

- **შრომის ანაზღაურების აღრიცხვა**

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწამოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვროს 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი -30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

- **ფულადი სახსრების აღრიცხვა**

მიღებულია როგორც ნაღდი ანგარიშსორებით , ასევე თანხის საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვის ოპერაციების განხორციელება.

- **ფინანსური ანგარიშგება**

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი შედგება ყოველწლიურად პასუხისმგებლი პირების მიერ.

შპს ,, სგ ოილ“-ის დირექტორი	გ.აფაქიძე
დირექტორის მოადგილე	გ.გამსახურდია
მთ. ბუღალტერი	ნ.ფულარია

2 იანვარი 2020 წელი

- ფულადი სახსრების აღრიცხვა

  მიღებულია როგორც ნაღდი ანგარიშსორებით , ასევე თანხის საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვის ოპერაციების განხორციელება.

- ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი შედგება ყოველწლიურად პასუხისმგებლი პირების მიერ.

შპს ,, სგ ოილ"-ის დირექტორი	გ.აფაქიძე
დირექტორის მოადგილე	გ.გამსახურდია
მთ. ბუღალტერი	ნ.ფულარია

2 იანვარი 2020 წელი